ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
BAGHDATI MUNICIPALITY GOVERMENT
HALL

ბრძანება:**ბ66. 66240087**

თარიღი:**08/01/2024**

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით კონსულტაციების გრაფიკის დადგენის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე" პუნქტის „ე.ე" ქვეპუნქტების, ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654 დადგენილებისა და ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2401 განკარგულების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.დადგინდეს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, ბაღდათის მუნიციპალიტეტში, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით, დასახლებების საერთო კრებების, სხდომებისა და მოსახლეობასთან კონსულტაციების გრაფიკი, დანართი N1-ის შესაბამისად.

2.კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მერის პირველ მოადგილეს - დავით სილაგაძეს;

3.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ.N11), ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დანართი N1 - 01 ფურცელი;

კახა ენუქიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია-ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი